სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

05 / დეკემბერი / 2023 წ.

KARR0121165964323

№ **04/867**

სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს
სახელმწიფო ქონების
პრივატიზების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ზურაბ წიქვაძეს

ბატონო ზურაბ,

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 16 ნოემბრის №6/62781 წერილი (შემოსული დოკუმენტი: 976/21; თარიღი: 16.11.23), ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმანში მდებარე 427 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. №61.11.21.851), 248 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. №61.11.21.854), 726 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. № 61.11.23.357), 4426 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. №61.11.21.654) პრივატიზებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულზე კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. №61.11.21.851) ძირითადი ნაწილი ,,დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმების დამტკიცების თაობაზე“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 აპრილის № 14 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის შესაბამისად, ნაკვეთის ძირითადი ნაწილი ხვდება გამწვანებულ ტერიტორიაზე (გტ) და ასევე მის მცირე ნაწილზე ვრცელდება საკურორტო ზონა (შზ-6) და წყლის ობიექტების ტერიტორია.

გამწვანებული ტერიტორია არის ნაშენ გარემოში არსებული გამწვანების ობიექტი (მაგალითად, ბულვარი, პარკი, ბაღი, სკვერი, გაზონი), რომლის ფართობის არანაკლებ 70%-ზე დაცულია წყალგამტარიანობა (კ-3), სადაც შესაძლებელია მოეწყოს დასასვენებელი/გასართობი ადგილები, სპორტული, სათამაშო, საკემპინგე, საქალაქო მებაღეობა, საბანაო ადგილები. გამწვანებულ ტერიტორიებს ასევე მიეკუთვნება სასაფლაოები, რომლის მოწყობა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

მიწის ნაკვეთი (ს.კ. № 61.11.21.854) მდებარეობს ძირითადად გამწვანებულ ტერიტორიაზე (გტ) და ნაწილობრივ წყლის ობიექტების ტერიტორიაზე.

მიწის ნაკვეთი (ს.კ. № 61.11.23.357ძირითადი ნაწილი ხვდება წყლის ობიექტების ტერიტორიაზე და ნაწილობრივ საკურორტო ზონა (შზ-6)-ში.

მიწის ნაკვეთზე (ს.კ. № 61.11.21.654) ძირითადად ვრცელდება საკურორტო ზონა (შზ-6) და მცირე ნაწილზე ლოკალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ტერიტორია.

საკურორტო ზონა (შზ-6) წარმოადგენს სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში კურორტისთვის დამახასიათებელ განაშენიანებას:

ა) ნებადართული სახეობები:

- დაბალი ინტენსივობის დასასვენებელი სახლი;
- სანატორიუმი და პანსიონატი;

- სარეკრეაციო სივრცეები შენობა-ნაგებობების გარეშე;
- დასასვენებელი ბანაკი;
- სასტუმრო;
- ტურისტული ობიექტი;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების და ზოგადი განათლების დაწესებულება;
- კვების ობიექტი;
- გასართობი დაწესებულება;
- კულტურის, სოციალური, ჯანდაცვის და სასპორტო ობიექტი.

ბ) საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:

- რელიგიური/საკულტო ობიექტი;
- საცალო ვაჭრობის ობიექტი;
- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (არსებული ინდივიდუალური სახლის ჩანაცვლების შემთხვევაში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია მხოლოდ საკადასტრო კოდით № 61.11.21.654 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საკურორტო ზონა (შზ-6)-ში დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებითა და დასაშვები სახეობებით (იხ. დანართი).

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე